სტუმრად - კიდევ ქულა!

კრასნოდარი. "ყუბანის" სტადიონი. 14 ივნისი.

"ყუბანი" (კრასნოდარი) – "დინამო" (თბილისი) 1:1 (0:1).

"ყუბანი": ბალახნინი, ჟურავჩაკი, ჩებოტარიოვი, კომაროვი, ნამაზოვი, ჩუგუნოვი, ლაგოიდა (პეტროსიანი), ბაგაპოვი, კალეშინი, კოლესოვი, ნაპხო.

"დინამო": გაბელია, კოსტავა (ხიზანიშვილი), ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე (ანდღულაძე), სულაქველიძე, გუცაევი, კაკილაშვილი, შენგელია.

მსაჯი: ს. ბელიაევი (მოსკოვი).

დუბლიორები - 1:1. დინამოელთაგან ბურთი გაიტანა ცავამ.

კრასნოდარის სპორტულმა საზოგადოებრიობამ, "ყუბანის" ფეხბურთელებმა მატჩის წინ გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს თბილისის დინამოელებს, საჩუქრები და სიგელები გადასცეს თასების მფლობელთა თასის გამარჯვებულებს და მიულოცეს წარმატება.

"ყუბანი" თავის მინდორზე, როგორც წესი, ძლიერად თამაშობს და იქ გამარჯვება იოლი არაა. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია ის მოვიყვანოთ, რომ "ყუბანმა" შინ დიდი ანგარიშით დაამარცხა როსტოვის არმიელები (4:0), ოდესის "ჩერნომორეცი" (2:0) და ერევნის "არარატი" (5:1), ამიტომ დინამოელები საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ. ამას დაემატა ისიც, რომ მატჩის პირველ ნახევარში კოკისპირულად წვიმდა და გარკვეული დროის მანძილზე ორივე მხარეს მეტისმეტად უჭირდა თამაში.

თბილისელებმა, რომელთა თავდასხმას უნარიანად ლიდერობდა გუცაევი, თავიდანვე რამდენიმეჯერ სახიფათოდ შეუტიეს მეტოქის ნახევარს და მე-9 წუთზე წარმატებასაც მიაღწიეს: მარჯვენა ფლანგიდან მოწოდებული ბურთი შენგელიამ კარის მიმართულებით გაგზავნა, დარტყმა მოხვდა ძელს და ბურთი თითქმის იმავე პოზიციაში დაუბრუნდა შენგელიას, რომელმაც ხელმეორედ უკვე ზუსტად დაარტყა - 1:0.

შემდგომში წვიმამ გადაიღო, ფეხბურთელებს მიეცათ ნორმალური თამაშის საშუალება. დინამოელთა საერთო ტერიტორიული უპირატესობის ფონზე მასპინძლებმა რამდენიმე საპასუხო იერიში წარმართეს. ამ მომენტებში კარგად თამაშობდნენ სტუმრების მცველები და მეკარე გაბელია.

მეორე ტაიმის დასაწყისში "ყუბანის" კარი გადარჩა გუცაევ-სულაქველიძე-შენგელიას კომბინაციის შემდეგ. მალე ბალახნინმა მოიგერია დარასელიას უძლიერესი დარტყმა.

მიმდინარეობდა 73-ე წუთი, როცა "ყუბანის" ერთ-ერთი კონტრშეტევისას დინამოელთა კარის წინ უმეთვალყუროდ დარჩა ჩუგუნოვი. მას სწრაფად გადასცეს ბურთი და ანგარიშიც გათანაბრდა - 1:1.

დარჩენილ დროში დინამოელებს კიდევ მიეცათ შესაძლებლობა დაწინაურებულიყვნენ, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად ჟიურიმ მიიჩნია ვ. გუცაევი და ი. კალეშინი, რომლებსაც გადაეცათ სპეციალური პრიზები.

"ლელო", 16 ივნისი 1981 წ.